

რეიტინგულ ფრანგულ და ესპანურ ელექტრონულ გამოცემებში
ვიზალიბერალიზაციამდე და ვიზალიბერალიზაციის შემდეგ
საქართველოს შესახებ არსებული დისკურსის შედარება

ანა გვალია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე გამოყენებითი უცხო ენები და
საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მზია გომელაური მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა გვალია

22.06.2018

აბსტრაქტი

შესავალი: 2017 წლის აპრილში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელი მოეწერა უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებას, რის შედეგადაც ურთიერთობები ახალ ეტაპზე გადავიდა. აღნიშნული პროცესი ძალიან მნიშვნელოვანი იყო საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებსაც გაუმარტივდათ ევროპასთან მიმოსვლა თუმცა სავარაუდო იყო ისიც, რომ შესაძლოა ვიზალიბერალიზაციის პროცესის წარმატებით დასრულების შემდეგ, ევროკავშირში შემავალ ქვეყნებში საქართველოსადმი დაინტერესება გაზრდილიყო და გაჩენილიყო საქართველოს შესახებ დისკურსი. კვლევის მიზანს წამოადგენდა საფრანგეთისა და ესპანეთის (ქვეყნების არჩევანი განაპირობებული იყო ორი ფაქტორით: სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკით და ქართველ ემიგრანტთა სიმრავლით აღნიშნულ ქვეყნებში.) ჟურნალისტური დისკურსის კვლევა იმის დასადგენად, მოიტანა თუ არა რაიმე ცვლილება უვიზო რეჟიმის ამოქმედებამ საქართველოს რეპრეზენტაციის კუთხით.

მეთოდოლოგია: შეირჩა ორი ესპანური და ორი ფრანგული ყველაზე რეიტინგული ელექტრონული გამოცემა (აღნიშნული გამოცემები ქაღალდის ფორმატის გაზეთებსაც ბეჭდავენ) და დისკურსის ანალიზის მეთოდით დამუშავდა სტატიები. ათვლის წერილად ჩაითვალა უვიზო რეჟიმზე ხელმოწერის დრო 2017 წლის აპრილი და ერთი მხრივ, შედარდა ქვეყნების შიგნით არსებული განსხვავებები დროითი პერსპექტივაში ხოლო მეორე მხრივ, ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებები. კვლევის ძირითად მიზანს გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობრივი მახასიათებლები და თემატიკა წარმოადგენდა.

დასკვნები: 1. ჩვენი ჰიპოთეზა, რომ უვიზო რეჟიმის ამოქმედების შემდეგ საქართველოს შესახებ სტატიების რიცხვი გაიზარდა, კვლევის შედეგად არ დადასტურდა, თუმცა მცირედი ცვლილებები შეინიშნებოდა ორივე ქვეყნის მაგალითზე. 2. ასევე გამოიკვეთა, რომ სტატიებში საქართველოს შესახებ პოლიტიკური დისკურსი ჭარბობდა. 3. ფრანგული გამოცემების სტატიები საქართველოს შესახებ გაცილებით მრავალფეროვანი იყო და ინფორმაციაც მუდმივი განახლების რეჟიმში, ესპანური გამოცემებისგან განსხვავებით.

Abstract

Introduction: In March 2017 between Georgia and The European Union an agreement on visa free travel was signed as a result of which new phase of the relations took place. On the one hand this process was very important for the citizens of Georgia in terms of facilitating travel to the European countries on the other hand it was also possible that after completion of the visa liberalization process, interest in Georgia in the EU countries would be increased and the debate about Georgia would intensify. The aim of the research was to analyse French and Spanish (the choice of target countries was made according to two factors: Specifics of master program and the considerable number of Georgian migrants in these countries) journalistic discourse to determine if there were any changes about representation of Georgia in their discourse.

Methodology: Two Spanish and two French most popular online newspapers (These newspapers have the printed versions as well) were selected for conducting the discourse analysis. March 2017, the date of signature of the Agreement on visa liberalization for Georgia, was considered as a starting point and the comparative analysis was made on modern Spanish and French journalistic discourse. The main goal was to identify the quantitative characteristics and most important topics in the articles about Georgia.

Conclusions: 1. Our hypothesis that „number of the articles about Georgia increased following the process of the visa liberalization“ was rejected. However, small changes were observed in each case. 2. It was also observed that political discourse was one of the most representative discourse for both French and Spanish newspapers. 3. French online newspapers were publishing more varied and more diverse information than Spanish online newspapers.